

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლ.მგელაძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი, 8 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გ. ლურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ ლ.მგელაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე, ეწევა აქტიურ საქმიანობას ქ.ოზურგეთის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებისათვის.

საკრებულოს წევრმა ლ.მგელაძემ, საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის

მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში, აღნიშნა, რომ თვითმმართველობის განვითარებაში უკანდახეულ ნაბიჯად მიაჩნია ქ.ოზურგეთისათვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის გაუქმება და მისი მიზანია მისი აღდგენისათვის ბრძოლა.


ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ ლ.მგელაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ და კოლეგებმა , ფრაქციის წევრებმა და სხვებმა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების, კოლეგების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 2 -ფურცლად)

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო